

გაზომვები სატელეკომუნიკაციო ქსელებსა და სისტემებში

II სემესტრი 2017-2018 წელი

(I შუალედური ტესტირების ნიმუში)

კითხვა 1

სიგნალების პარამეტრების გაზომვა მოიცავს:

აირჩიეთ ერთი:

- a. დენის ძალის, ძაბვის, სიმძლავრის, სიხშირის, ფორმის გაზომვას;
- b. ტევადობის, წინაღობის, ინდუქტიობის მნიშვნელობების გაზომვას.
- c. გაძლიერების, მილევის, არეკვლის, დამახინჯებების, ხელშეშლების გაზომვას;

კითხვა 2

სიგნალების გადაცემის პირობების მახასიათებელი სიდიდეების გაზომვა მოიცავს:

აირჩიეთ ერთი:

- a. დენის ძალის, ძაბვის, სიმძლავრის, სიხშირის, ფორმის გაზომვას;
- b. გაძლიერების, მილევის, არეკვლის, დამახინჯებების, ხელშეშლების გაზომვას;
- c. სიხშირული, ამპლიტუდური, მოდულაციური, დროითი პარამეტრების გაზომვას..

კითხვა 3

კავშირგაბმულობის საშუალებების ცალკეული ელემენტების პარამეტრების გაზომვა ნიშნავს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ტევადობის, წინაღობის, ინდუქტიობის მნიშვნელობების გაზომვას.
- b. გაძლიერების, მილევის, არეკვლის, დამახინჯებების, ხელშეშლების გაზომვას;
- c. დენის ძალის, ძაბვის, სიმძლავრის, სიხშირის, ფორმის გაზომვას;

კითხვა 4

რას ნიშნავს გასაზომი სიდიდის ჭეშმარიტი მნიშვნელობა:

აირჩიეთ ერთი:

- a. მნიშვნელობა, რომელიც არ შეიცავს ცდომილებას;
- b. გაზომვის შედეგად მიღებულ ჭეშმარიტ მნიშვნელობასთან უახლოესი მნიშვნელობა;
- c. კონკრეტული ფიზიკური სიდიდე, რომელსაც მინიჭებული აქვს ერთის ტოლი რიცხვითი მნიშვნელობა და იმავე ბუნების სიდიდის რაოდენობრივი შეფასებისათვის არის განკუთვნილი.

კითხვა 5

გასაზომი სიდიდის ნამდვილი მნიშვნელობა:

აირჩიეთ ერთი:

- a. გაზომვის შედეგად მიღებულ ჭეშმარიტ მნიშვნელობასთან უახლოესი მნიშვნელობა;
- b. მნიშვნელობა, რომელიც არ შეიცავს ცდომილებას;

- C. კონკრეტული ფიზიკური სიდიდე, რომელსაც მინიჭებული აქვს ერთის ტოლი რიცხვითი მნიშვნელობა და იმავე ბუნების სიდიდის რაოდენობრივი შეფასებისათვის არის განკუთვნილი.

კითხვა 6

ამპერმეტრი წრედში დენის ძალის გასაზომად ირთვება წრედის:

აირჩიეთ ერთი:

- a. მიმდევრობით;
- b. ბოგირულად.
- c. პარალელურად;

კითხვა 7

ვოლტმეტრი წრედის ელემენტებზე ძაბვის გასაზომად ირთვება წრედის ელემენტების:

აირჩიეთ ერთი:

- a. ბოგირულად.
- b. პარალელურად;
- c. მიმდევრობით;

კითხვა 8

ამპერმეტრის საკუთარი წინაღობა უნდა იყოს წრედის წინაღობაზე:

აირჩიეთ ერთი:

- a. ტოლფასი.
- b. გაცილებით ნაკლები;
- c. გაცილებით მეტი;

კითხვა 9

ვოლტმეტრის საკუთარი წინაღობა უნდა იყოს წრედის წინაღობაზე:

აირჩიეთ ერთი:

- a. ტოლფასი.
- b. გაცილებით მეტი;
- c. გაცილებით ნაკლები;

კითხვა 10

სპილენძის სადენში ელექტრონების გადაადგილების სიჩქარეა::

აირჩიეთ ერთი:

- a. $3 \cdot 10^8$ მ/წმ;
- b. 300 ათასი კმ/წმ;
- c. მილიმეტრის მეათედები წამში.